# გაკვეთილის გეგმა
# კომპიუტერის ძირითადი მოწყობილობები

მასწავლელის სახელი, გვარი, პ/ნ ________________________________________

საგანი **ისტ**

სწავლების საფეხური/კლასი **დაწებითი /V კლასი**

გაკვეთილის თემა **კომპიუტერის ძირითადი მოწყობილობები**

გაკვეთილის მიზანია

**ის.ტექნ.დაწყ.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს ისტ-ის ეფექტიანი და უსაფრთხო გამოყენება**

მოსწავლე:

უსაფრთხოდ და სწორად იყენებს ინფორმაციის შესანახ მოწყობილობებს (მყარი დისკი, CD, DVD, Blue-Ray, ფლეშ მეხსიერება, მეხსიერების ბარათი) და მათი მიერთების ან/და ჩადების ადგილებს;

ასახელებს სხვადასხვა ციფრულ საშუალებას და საუბრობს მათ დანიშნულებაზე;

კომპიუტერის აგებულება და მისი კომპონენტები (მაგ.; პროცესორი, ოპერატიული მეხსიერება, დედა პლატა);

ინფორმაციის შემტან-გამომტანი მოწყობილობები და მათი დანიშნულება (მაგ., კლავიატურა, მიკროფონი, სკანერი, ვებ-კამერა, მონიტორი, პრინტერი, სპიკერები/ყურსასმენები, მაუსი/თაჩპედი, ჯოისტიკი);

| N | აქტივობის აღწერა | გამოყენებული მეთოდი | კლასის ორგანიზების ფორმა | სასწავლო რესურსები | დრო (წთ) |
|---|---|---|---|---|---|
| | **გამოწვევის ფაზა** | | | | 7 |
| | მისალმებისა და საორგანიზაციო საკითხები გადაწყვეტის შემდეგ მასწავლებელი პროექტორზე უჩვენებს www. Linoit.com დაფის მოკლე ბმულს, (მაგ: bit.ly/214uon7) სადაც მოსწავლეები სხვადასხვა ფერის სტიკერებზე დაწერენ კითხვის პასუხს **თქვენი აზრით რა მოწყობილობებისგან შედგება პერსონალური კომპიუტერი?** მასწავლებელი დააჯგუფებს სწორ და არასწორ პახსუხებს, ასევ საჭიროების შემთხვევაში დასვამს დამატებით კითხვებს. (რომ მოსწავლეებმა ყველა | ბრეინშტორმინგი | ინდივიდუალურად | www.Lionoit.com ის მოკლე ბმული<br><br>bit.ly/214uon7 | 7 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | მოწყობილობის დატანა შეძლონ სტიკერებზე). ყველა მოსწავლე ირჩევს სტიკერს და წერს თავის მოსაზრება. მასწავლებელი აკვირდება და ეხმარება მოსწავლეებს, რომ ყველა მოსწავლემ შექმნას სტიკერი | | | | |
| | **შინაარსის რეალიზება** | | | | **30** |
| | დისკუსია თემაზე მომავალში რა მოწყობილობები დაგვჭირდება? | ზეპირი დისკუსია | მთელი კლასი | | 5 |
| | პრეზენტაცია თემაზე კომპიუტერის ძირითადი მოწყობილობები | პრეზენტაცია | მთელი კლასი | პრეზენტაცია | 15 წთ |
| | მოსწავლეებს ურიგდებათ პაზლები, სადაც დატანილია კომპიუტერის ნაწილები. მხოლოდ სწორი კუთხით შეიძლება ამ პაზლების შეერთება. (მაგალითად თაგვი ვერ მიუერთდება ოპერატიულ მახსოვრობას). შესაძლებელია კლასი 3 ჯგუფად დაიყოს და თუ საშუალება არის წინასწარ დაშლილი კომპიუტერი ააწყონ სხვადასხვა ზედმეტი კომპონენტებიდან (მაგიდაზე უნდა ელაგოს სხვადახვა ნივთებიც და მოსწავლეებმა საჭირო ნივთები უნდა ამოარჩიონ). | სწავლა კეთებით | 3-4 კაციანი ჯგუფი | დაჭრილი პაზლები ან კომპიუტერის კომპონენტები | 10 წთ |
| | | | | | |
| | **რეფლექსია** | | | | **8** |
| | სასწავლო ტექსტი (ვარიანტი 2 ) | | ინდივიდუალურად | ტესტი (პრეზენტაცია) | 3 |
| | მოსწავლეებს ურიგდებათ ფერადი ბარათები კომპიუტერის სხვადასხვა მოწყობილობების გამოსახულებით. მოსწავლეებმა ბარათის მეორე მხარეზე უნდა დაწერონ მოწყობილობის სახელწოდება და  რამდენიმე სიტყვით აღწერონ მისი დანიშნულება<br><br>ჰიპერაქტიურ მოსწავლეებს  ვთხოვთ თვითონ შექმნან ბარათი დანარჩენი კლასისთვის.  სუსტ მოსწავლეების ბარათებზე აღწერაში გატოვებულია რამდენიმე საკვანძო სიტყვა<br><br>გაკვეთილის შეჯამება | გამოკითხვა ბარათებით | წყვილები | ფერადი ბარათები კითხვებით | 5 |
| | | | | | |

**გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები**

უსაფრთხოდ და სწორად გამოიყენა ინფორმაციის შესანახი მოწყობილობები. ;
დაასახელა სხვადასხვა ციფრული საშუალება და ისაუბრა მათ დანიშნულებაზე;
კომპიუტერი და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები
კომპიუტერის აგებულება და მისი კომპონენტები (მაგ.; პროცესორი, ოპერატიული მეხსიერება, დედა პლატა);
ინფორმაციის შემტან-გამომტანი მოწყობილობები და მათი დანიშნულება (მაგ., კლავიატურა, მიკროფონი, სკანერი, ვებ-კამერა, მონიტორი, პრინტერი, სპიკერები/ყურსასმენები, მაუსი/თაჩპედი, ჯოისტიკი);

შეფასება
(მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები და /ან რუბრიკები)

ტესტი

რუბრიკა

რეფლექსია

ხელმოწერა

თარიღი 10.04.2018